იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!


საბჭოჯლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-13 წელი

№ 4 (212)

თებერვალი, 1969 წელი



კურორტი მენჯი.

საქართველოს სსრ ცენტრალური საბჭოს ბიბლიოთეკა

ასე ავმაღლდით...

◆ **საქართველოში** საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე მის სახალხო მეურნეობასა და კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი გარდაქმნები მოხდა. ეს იყო ქართველი ერის ნამდვილი აღორძინების ეპოქა.

◆ **საქართველოს** ინდუსტრიულ ძლიერებას დამაჯერებლად მოწმობენ შემდეგი ფაქტები. ჩვენი რესპუბლიკა ერთ სულ მოსახლეზე აწარმოებს 2,6-ჯერ მეტ თოჯს, 1,5-ჯერ მეტ ფოლადს, ვიდრე იტალია; ელექტროენერგია ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 8,5-ჯერ მეტს, ვიდრე თურქეთში და 20-ჯერ მეტს, ვიდრე ირანში.

◆ **მანქანათმშენებლობის** მრეწველობისა და ენერგეტიკის ზრდასთან ერთად წარმატებით ვითარდებოდა ელექტრომანქანათმშენებლობის, ქიმიური, მსუბუქი, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგები.

◆ **სწრაფად** ვითარდება საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობაც. ახლა ჩვენი რესპუბლიკა იმპორტითა და ექსპორტით დაკავშირებულია საზღვარგარეთის ათობით ქვეყანასთან. მნიშვნელოვნად გაიზარდა არა მარტო ისეთი ტრადიციული საქონლის ექსპორტი, როგორიცაა მანგანუმი, ღვინო, თამბაქო, ხილი, არამედ ახალ სახეობათა პროდუქციისაც — ჩარხების, ლითონის, მილების, ფეროშენადნობების, მარმარილოს, ცემენტის, მედიკამენტების ექსპორტი.

◆ **რესპუბლიკის** საგარეო სავაჭრო ურთიერთობის ზრდას მოწმობს საქართველოს სს რესპუბლიკის მონაწილეობა საერთაშორისო ბაზრობებში (საბჭოთა პავილიონების გამოფენის დამოუკიდებელი განყოფილებებით) — 1965 და 1968 წლებში იზმირში და 1967 წელს ალჟირში. საბჭოთა პავილიონს გამოფენის ქართული განყოფილებისათვის მიენიჭა ალჟირის საერთაშორისო ბაზრობის დიდი ოქროს მედალი.

◆ **ძირეული** ძვრები და გარდაქმნები მოხდა სოფლის მეურნეობაშიც.

◆ **ამჟამად** საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს ჩვენს ქვეყანაში ჩაის წარმოებით და ერთ-ერთი პირველი ადგილი — სამრეწველო ჯიშის ყურძნის, ხილის, ტუნგოს, დაფნის, მაღალხარისხოვანი თამბაქოს, ეთერზეთოვანი და მთელი რიგი სხვა ტექნიკური კულტურების წარმოებით, რესპუბლიკა ციტრუსების — მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის ძირითადი მწარმოებელია.

◆ **მნიშვნელოვნად** გაფართოვდა მევენახეობა, 1925 წელთან შედარებით ვენახების ფართობი სამჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

საქართველო მცირემიწიანი მჭიდროდ დასახლებული რესპუბლიკაა. დამუშავებულ მიწებს უკავიათ მთელი ტერიტორიის დაახლოებით 17 პროცენტი. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ხრიოკი მიწების მორწყვას, დაჭაობებული ფართობების ამოშრობას და გამოყენებას.

◆ **ეროვნული** შემოსავალი — ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძველი — გაიზარდა 80 პროცენტით და მეტად; მთელი ეროვნული შემოსავლის 73 პროცენტი ანუ თითქმის სამი მეოთხედი მოხმარებაზე მოდის.

◆ **ადამიანთა** ჯანმრთელობის დაცვა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის საგანია. ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ფართო ქსელი, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან მაღალკვალიფიციური კადრებით. მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ზრუნავს 54 ათასზე მეტი მედიცინის მუშაკი, აქედან 16 ათასი ყველა სპეციალობის ექიმი, სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფა გაიზარდა 35-მდე ექიმით 10 ათას სულ მოსახლეზე. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში.

◆ **საქართველოს** შესანიშნავმა კურორტებმა საუკეთესო სრულიად საკავშირო ჯანმრთელობის კერების სახელი მოიხვეჭეს. სახელმწიფო ყოველწლიურად გამოყოფს დიდ სახსრებს კურორტების განვითარებისათვის.

◆ **განუხრელად** იზრდება ბავშვთა რიცხვი სკოლამდელ დაწესებულებებში. უკანასკნელ ომამდელ 1940 წელთან შედარებით, ბავშვთა რიცხვი საბავშვო ბაღებსა და ბაგებში გაიზარდა 2,5-ჯერ და მეტად. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს.

◆ **ფართოვდება** როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

◆ **მილიონზე** მეტი კაცი უფასოდ სწავლობს ზოგადსაგანმანათლებლო. პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოში 18 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც ახალგაზრდობა ეუფლება ცოდნას კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში.

◆ **ამ ბოლო** წლების მანძილზე როგორც ქალაქად, ისე სოფლად საბინაო მშენებლობის უმაგალითო გაქანებამ საშუალება მოგვცა გაგვეუმჯობესებინა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის საბინაო პირობები, მარტო ამ ბოლო წელს სახელმწიფო და კოოპერაციულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და მოსახლეობამ ქალაქებსა და სოფლებში საექსპლოატაციოდ გადასცეს საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი 1.600 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება.

◆ **დიდად** განვითარდა რესპუბლიკაში კავშირგაბმულობა, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

◆ **სახალხო** მეურნეობის სტრუქტურაში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე მომხდარი ცვლილებების შედეგად სახე იცვალა მთლიანად საქართველომ, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, უფრო დამშვენდა და კეთილმოწყობილი გახდა ქალაქები და სოფლები; შეიქმნა ახალი სოციალისტური ქალაქები — მრეწველობისა და კულტურის ნამდვილი ცენტრები.

◆ **ბოლო** წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაუმჯობესდა თბილისის საქალაქო მეურნეობა. 1967-1968 წლებში მისი განვითარებისათვის მარტო აღმასკომის ხაზით გამოიყო 130.444 ათასი მანეთი — 11.294 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე წინა ორ წელიწადში.

◆ **საექსპლოატაციოდ** გადაცემულია 465 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ახალი კეთილმოწყობილი ბინები მიიღო 14.500 ოჯახმა. დიდი მუშაობა განხორციელდა კომუნალური მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე. წყლის მიწოდება გადიდდა 13 მილიონი კუბური მეტრით.

◆ **აშენდა** ახალი სასტუმროები, სპორტული და სანახაობითი ობიექტები, ხიდები.

◆ **განვითარების** დიდი პერსპექტივა ისახება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის წინაშე 1969-1970 წლებში. კაპიტალური დაბანდება საქალაქო მეურნეობის განვითარებაში 42.543 ათასი მანეთით გაიზრდება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბინაო მშენებლობას. საქალაქო საბჭოს ხაზით აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა 522 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

◆ **გევრი** რამ უნდა გაკეთდეს ქალაქში ჯეროვანი წესრიგის დასამყარებლად, სანიტარული და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების, მოსახლეობის მომსახურების კულტურის გაუმჯობესებისათვის.

◆ **საბჭოთა** ხელისუფლების წლებში აყვავდა ეროვნული კულტურა, რომელსაც მდიდარი ისტორია და სახელოვანი ტრადიციები აქვს.


◆ **რესპუბლიკაში** განსაკუთრებით აყვავდა მეცნიერება. მეოთხედი საუკუნის წინათ შექმნილი მეცნიერებათა აკადემია — ქართული მეცნიერების ნამდვილი კერა — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო ცენტრია. ქართველ მეცნიერთა მიერ შესრულებულმა მთელმა რიგმა გამოკვლევებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა — მათ ლენინური და სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ.

◆ **ხალხის** კეთილდღეობის განვითარების კიდევ უფრო ნათელი პერსპექტივები ისახება ახალ ხუთწლეულში. გათვალისწინებულია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავა უმაღლესი და საშუალო განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, მეცნიერება და კულტურა. ჩვენი წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, შრომის ნაყოფიერების ზრდა ახალ შესაძლებლობებს შექმნიან, რათა უკეთ დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის საჭიროებანი, გავაუმჯობესოთ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და ავამაღლოთ რეალური შემოსავალი.

საქართველოს სსრ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის 1969 წლის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ



ა. ბალანჩივაძე.



ვლ. ალექსი-მესხიშვილი.



გ. ლეონიძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება და დაადგინეს:

საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის 1969 წლის სახელმწიფო პრემიები მიენიჭოთ:

ანდრია მელიტონის-ძე ბალანჩივაძეს — კამერული ორკესტრის მუსიკალური სურათებისათვის: „სტვირი“, „ჩანგი“, „დაირა“ და № 4 სიმფონიეტიანო კონცერტი;

ვლადიმერ შალვას-ძე ალექსი-მესხიშვილს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობისა და თბილისის მეტროპოლიტენის მიწისქვეშა სადგურ „ლენინის მოედნის“ არქიტექტურისათვის;

გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეონიძეს, საქართველოს სახალხო პოეტს (სიკვდილის შემდეგ), რომელიც საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიაზე წარდგენილი იყო 1966 წელს, — უკანასკნელი წლების ლექსებისა და პოემებისათვის.

მოკლედ

ჩვენი სტუმრები

ერთ თვეს ეცნობოდნენ თელავის რაიონის სოფელ რუისპირში ალაზნის სეტყვის საწინააღმდეგო სტაციონალური ექსპედიციისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის მუშაობას ბულგარელი სპეციალისტები ც. ჩაბანოვი, ი. კინჩევი, კ. ტაკევი და ე. მასლაროვი. მათ განსაკუთრებით აინტერესებდათ მეცნიერული გამოკვლევები.

ცნობილი ინდოელი მეცნიერი ელექტროქიმიკოსი ბ. შენოი ესტუმრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. იგი ეწვია მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებებს და, კერძოდ, არაორგანული და ელექტროქიმიის ინსტიტუტს, იყო რუსთავის ქიმიურ კომბინატში.

— ბევრი რამ მსმენია ქართველ მეცნიერთა წარმატებებზე, მაგრამ ის რაც შევიტყვე, საოცარია — თქვა მან.

უნგრელმა ფსიქოლოგმა მ. იშტვანმა დაამთავრა სამეცნიერო პრაქტიკა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. ქართველ მეცნიერ-ფსიქოლოგთა გამოცდილებამ, რომლებიც ფართოდ არიან ცნობილი თავიანთი მნიშვნელოვანი გამოკვლევებით, თქვა მ. იშტვანმა, გაამდიდრა ჩვენი ცოდნა.

ლექციებით პოლონეთში

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკიდან დაბრუნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანებისა და მექანიზმების თეორიის კათედრის გამგე პროფესორი დ. თავხელიძე. პოლონეთის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიწვევით მან ლექციები მანქანებისა და მექანიზმების თეორიაში წაუკითხა ვარშავის, ლოძისა და კრაკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტების სტუდენტებს.

მანქანებისა და მექანიზმების თეორიის კათედრამ მჭიდრო მეცნიერული კავშირი დაამყარა უნგრეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების მეცნიერებთან.

პროფესორ დ. თავხელიძის შრომებს სივრცობრივ მექანიზმებში ფართოდ იყენებენ მანქანათმშენებლობანი, განსაკუთრებით ავტომატების, ნახევრადავტომატების, ნაკადური და ავტომატური ხაზების დაპროექტების დროს.

ფესტივალზე ჩილეში

ამ ზაფხულს ჩილეში, საბჭოთა და ჩილელი ახალგაზრდობის მეგობრობის ფესტივალზე გაემგზავრება თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს კლუბის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „სინათლე“.

ანსამბლი კარგად არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში. იგი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მთელი რიგი საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატია. მხატვრულ კოლექტივს ტაშს უკრავდნენ ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბელგიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ფინეთში.

„ფესტივალის მარგალიტი“ — ასე უწოდეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა მოყვარული მსახიობების გამოსვლას მეშვიდე მუშათა ფესტივალზე ოდერის ფრანკფურტში. მათი ხელოვნება გაიცნეს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ქალაქების მცხოვრებლებმა და ყველგან გაისმოდა შეძახილები „გულითადი მადლობა“, „დაე მარად ცოცხლობდეს ჩვენი ხალხების მეგობრობა“.

ანსამბლის პროგრამაშია ლირიკული „სადარბაზო“, „სამაია“, მთიული, ოსური, აჭარული და სხვა ცეკვები.

ანსამბლს ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები დ. კვაჭანტირაძე და მ. ლომთათიძე.

ნანარმოებთა თემაა დიდი სამამული ომი

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს სამამულო ომის ვეტერანთა წიგნები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ და „ნაკადულმა“ გამოუშვა ომის მონაწილეთა საინტერესო მოგონებები.

„თერგიდან სევასტოპოლამდე“ — ასე ეწოდება გადამდგარი გენერალ-მაიორის ბ. ყურაშვილის მემუარებს. წიგნი გვაცნობს კავკასიისა და ყუბანისათვის ბრძოლებს. ავტორი აგვიწერს შეხვედრებს სახელგანთქმულ მხედართმთავართან, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძესთან. ოპერაციებს ჰიტლერელთა მძლავრი თავდაცვითი „ცისფერი ხაზის“ მოსპობისათვის.

გ. ყურაშვილი მეთაურობდა 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიას ყუბანისათვის გაფთრებული ბრძოლების დროს, მოწინააღმდეგის ტამანის დაჯგუფების მოსპობამდე. შემდეგ დივიზია გადაიყვანეს ყირიმში გერმანელ-ფაშისტ ოკუპანტთაგან ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის.

თადარიგის გენერალ-მაიორი, სტალინგრადისათვის ბრძოლის გმირი ნ. თავართქილაძე მოგონებათა წიგნში „იყო ასეთი დღეები“, აგვიწერს გიგანტურ ბრძოლას ვოლგის ნაპირებთან და ამ ბრძოლაში მისი შენაერთის მეომრების მონაწილეობას.

გამომცემლობა „ნაკადულმა“ სერიით „ქართველები დიდ სამამულო ომში“ გამოუშვა ჟურნალისტ ა. კელენჯერიძის წიგნი „ჟერჩი-42“. ეს არის მოგონებები ფრონტული გაზეთის „ბოევაია კრიმსკაიას“ ქართული გამოცემის რედაქციისა და სტამბის კოლექტივის მუშაობის შესახებ.

მკითხველებმა მიიღეს ე. ბართაიას წიგნი „დიდი სამამულო ომის თემა ქართულ პოეზიაში“. ეს არის მონოგრაფია ქართველი მწერლების ნაყოფიერი მუშაობის შესახებ, რომლებმაც ქართველი მეომრების დაუვიწყარი სახეები შექმნეს.

იოსებ მეგრელიძე

დიდი მეცნიერი, მაგუილიშვილი

ორი დღის შემდეგ დილის 12 საათზე ექვთიმესთან რომ მივედი, იგი ფილტვების კრუპოზული ანთებით დამხვდა ავად. პირველ მნახველ ექიმს საშიში მდგომარეობა აღენიშნა. ავადმყოფის ნაშვილევმა ლიდიამ მისაყვედურა, ეს იმის შედეგია, ფუნიკულორზე მასპინძლობა რომ დაუწყეთ ამ ხნის კაცსაო.

ძალიან შევწუხდი და ვინანე: ნეტავ, არ ვხლებოდი-მეთქი,მაგრამ რაღა გაეწყობოდა. დავტრიალდით. ცნობილი ექიმის ნიკო ჯანდიერის მოყვანა დავაპირეთ, მაგრამ ექვთიმემ თქვა: შორს არის, დაგვიანდება; თავის დროზე სტიპენდია დავანიშნინე მიტოსთვის (დიმიტრი ჯავახიშვილი), პატივს მცემს, თანაც აქედან ახლოს არის, იმას დაუძახეთო...

მართლაც, ვერის ბაზრის ერთის მხრივ რომ ექვთიმე ცხოვრობდა, მეორე მხრივ (კიროვის სახელობის ბაღში) კურორტოლოგიის ინსტიტუტში დიმიტრი ჯავახიშვილი მსახურობდა. ვთხოვეთ მას, მან სამი სხვა ექიმიც მოიყვანა. კონსულიუმმა ავადმყოფს წამლები და რეჟიმი დაუნიშნა. იმავე საღამოს მე მივიყვანე პროფესორები: ნიკ. და სიმონ ყიფშიძეები, პროფ. ვასილ ანდღულაძე და ჩემ მეზობლად მცხოვრები ცნობილი ექიმი სერგო ხუნდაძე... როგორც იტყვიან, უშოვარი წამლები გავაჩინეთ, მიცინებითა და კარგი მოვლით მოხუცი გადარჩა.

გამოკეთების შემდეგ ე. თაყაიშვილმა ერთ დღეს თავისი ხელით დაწერილი ანდერძი დაგვახვედრა: ჩემის ნების აღმსრულებლად აკაკი შანიძეს, იროდიონ სონღულაშვილს და თქვენ (იოსებ მეგრელიძეს) გნიშნავთო: დასძინა: თქვენი თანხმობა აქვე დასწერეთ და წაბრძანდითო ჩემი მანქანით, აკაკის თანხმობაც მომიტანეთო.

მე ვარწმუნებდი, საქმისათვის აჯობებს სიაში ჩემ მაგიერ თანამდებობის პირი, უნივერსიტეტის რექტორი ნიკო კეცხოველი შეიტანოთ, რაიმე რომ გახდეს საჭირო, ის ყველაზე უკეთ გააკეთებს საქმეს მთავრობაში-მეთქი. ჩემი გვარი მევე წაგშალე. არაო, თქვა ექვთიმემ, თქვენც დარჩით და ნიკოც დავუმატოთ, მე და ის ერთ დროს სოციალ-ფედერალისტები ვიყავით, ახლაც კარგად მეპყრობა, მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო... ის მაინც ჩემს ადგილზე ჩაგვწერინე.

21-22. X. 1947 წ. სათანადო თანხმობებიც მივუტანე ექვთიმეს, და ანდერძი გაფორმდა. ე. თაყაიშვილმა ვრცელი ანდერძიც დაგვწერინა იურისტ ალ. პოლტარაცკის (რუსულ ენაზე) 1947 წ. 4 ნოემბრის რიცხვით.

ამ საყურადღებო და ე. თაყაიშვილისათვის ფრიად დამახასიათებელი დოკუმენტის პირველ მუხლში ე. თაყაიშვილმა მემკვიდრე კი არ მოიხსენია, არამედ აღნიშნა:

1. ჩვენს აკადემიას ვუანდერძებ ჩემს ბიბლიოთეკას (ბინაზე არსებულ წიგნებზეა ლაპარაკი, თორემ პარიზში გამგზავრებამდე მისი კუთვნილი უზარმაზარი ბიბლიოთეკა უნივერსიტეტში იყო გადატანილი) და ხელნაწერებს. მასვე ვუტოვებ ჩემ მიერ შედგენილ ქართულ-ფრანგულ ლექსიკონს (47 რვეული), აგრეთვე ყველა ჩემი გამოცემის ცალებს (წიგნებსა და სტატიებს), რომლებიც კი სადმე მაქვს.

2. ჩვენს მუზეუმს ვუანდერძებ მთელ ჩემს ნუმიზმატიკურ კოლექციას და ბინოკლს. უკანასკნელი გრიგოლ გურიელმა მაჩუქა და ყოველ ექსპედიციაში თან ვატარებდი.

3. მეტეხის მუზეუმს (ახლანდელ ხელოვნების მუზეუმს) ვუტოვებ ჩემს საწერ მაგიდას ბრინჯაოს სამელნის კომპლექტით და სურათებსა და პორტრეტებს.

4. ჩემს ნაშვილევ ლიდა პოლტარაცკაიას ვაკუთვნებ ავტომანქანას, ჩემი მეუღლის ნივთებს (პარიზში გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული) და ჩემი დაკრძალვის ხარჯების შემდეგ რაც ფული დარჩება, იმასაც.

შემდეგ იმავე ანდერძში ნათქვამია, ჩემს ბინაზე რომელი ბიბლიოთეკისა და კერძო პირის წიგნიც კი აღმოჩნდება, პატრონს დაუბრუნდეს; მთავრობა პეტრე შარიას მივენდობით დაბარებულია, რომ ჩემი არქეოლოგიური მოგზაურობებისა და სხვა ხასიათის მეცნიერულ ალბომებს გამომიცემს. ნების აღმსრულებლებმა ამაზეც იზრუნონ და სხვ...

ამის შემდეგ მე სტუდენტებთან ლექციებით დატვირთულობისა და საკუთარი კვლევითი სამუშაოების გამო ექვთიმესთან ყოფნას კვირაში მხოლოდ სამ-ოთხჯერ ვახერხებდი. თანაც მოხუცს ექიმები დაძაბულ მუშაობას უკრძალავდნენ. ურჩევდნენ, მნახველებიც ნაკლებ მიეღო. მოხუცს კი სწყინდებოდა და გვთხოვდა: უფრო ხშირად მობრძანდითო.

ჩვენც დავდიოდით და იოლ თემებზე ველაპარაკებოდით, მასაც უფრო სასიამოვნო მოგონებებს ვაამბობინებდით. ის საამისო თავისსა და თავისივე სიტყვებით სხვის ჩანაწერებს (მაგ., მედეა ღამბაშიძე-ნიკოლაძისა, პარიზი) ხმამაღლა გვაკითხებდა და ცალკეულ დამატებებს გვაწერინებდა ხოლმე. ასევე წაგვაკითხა თავისი გამოქვეყნებული წერილები (პარიზის გაზეთებში) და გამოუქვეყნებელი წერილები ნოდიმ პავლეს-ძე კონდაკოვის (1844-1925), პროფ. ალექსანდრე ანტონის-ძე ცაგარელის (1844-1929), აკად. ნიკო მარის (1864-1934, ქართულად და რუსულად), იური მარისა (1893-1935) და ზოგიერთ სხვათა შესახებ.

უფრო გვიან კი აჭარის მუზეუმის გამგის ხარიტონ ახვლედიანის მიერ გამოგზავნილ აკად. ალექსანდრე თაყაიშვილის და დავით გუგუნავას, ილარიონ თაყას-ძე თაყაიშვილისა და სხვათა ლექსად შესრულებულ მიწერ-მოწერას, კალისტრატე რამაშვილის საოხუნჯო ლექსებსა და სხვა ასეთებსაც ვკითხულობდით ერთად.

ერთად ყოფნისა და მუშაობის თუ საუბრების დროს ექვთიმემ არა ერთი და ორი საყურადღებო ფაქტი ჩაგვაწერინა. უკვე იმდენი რამ ვლინდებოდა, რომ მათ ჩაწერას ველარც ვასწრებდი. დაკარგვა კი დანაშაული იქნებოდა. კიდეც უფრო იმიტომ, რომ ჩანაწერი დოკუმენტური ყოფილიყო, მე შევუწუხებდი ჩვენი მწერალთა მუზეუმის მაშინდელ დირექტორს პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს, რათა მას უწრუნველეყო ამ მოგონებების სტენოგრაფირება. გ. ლეონიძე ამ წინადადებას სიამოვნებით შეხვდა; მან თქვა: ჰონორარსაც კარგს მივცემ ექვთიმესო...

ექვთიმემ მოამზადა მასალა, ბევრი ცნობა ი. სონღულაშვილს ან პირადად ჩვენ დაგვაზუსტებინა სათანადო პრესის მიეხდვით. საპასუხო კითხვებიც ჩამოგვაწერინა და ჩამწერს ელოდებოდა. მაშინდელი ზოგიერთი ვითარების გამო ეს ჭიანურდებოდა, მავრამ ბოლოს და ბოლოს მოვიდნენ ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლები: ივ. ლოლაშვილი, ე. შუღლიაშვილი და ნუნუ ხომერიკი სტენოგრაფისტ თამარ გოგიავასთან ერთად. ჩაწერილ იქნა ექვთიმეს ნაამბობის ნახევარი, მეორე ნახევარი ვერ მოვასწარით.

ექვთიმეს ნაამბობის ჩაწერა ორ ნაწილად გადაწყვიტეს. ჩაწერილი ტექსტი ექვთიმეს გადაეცა, მან ის წაიკითხა, ზოგიერთ ადგილს ხელი გაუსწორა, ზოგიერთი ადგილი ამოიღო, ზოგიც დაამატა და ის ერთ დროს სოციალ-ფედერალისტები ვიყავით, ახლაც კარგად მეპყრობა, მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო... ის მაინც ჩემს ადგილზე ჩაგვწერინე.

21-22. X. 1947 წ. სათანადო თანხმობებიც მივუტანე ექვთიმეს, და ანდერძი გაფორმდა. ე. თაყაიშვილმა ვრცელი ანდერძიც დაგვწერინა იურისტ ალ. პოლტარაცკის (რუსულ ენაზე) 1947 წ. 4 ნოემბრის რიცხვით.

ამ საყურადღებო და ე. თაყაიშვილისათვის ფრიად დამახასიათებელი დოკუმენტის პირველ მუხლში ე. თაყაიშვილმა მემკვიდრე კი არ მოიხსენია, არამედ აღნიშნა:

1. ჩვენს აკადემიას ვუანდერძებ ჩემს ბიბლიოთეკას (ბინაზე არსებულ წიგნებზეა ლაპარაკი, თორემ პარიზში გამგზავრებამდე მისი კუთვნილი უზარმაზარი ბიბლიოთეკა უნივერსიტეტში იყო გადატანილი) და ხელნაწერებს. მასვე ვუტოვებ ჩემ მიერ შედგენილ ქართულ-ფრანგულ ლექსიკონს (47 რვეული), აგრეთვე ყველა ჩემი გამოცემის ცალებს (წიგნებსა და სტატიებს), რომლებიც კი სადმე მაქვს.

2. ჩვენს მუზეუმს ვუანდერძებ მთელ ჩემს ნუმიზმატიკურ კოლექციას და ბინოკლს. უკანასკნელი გრიგოლ გურიელმა მაჩუქა და ყოველ ექსპედიციაში თან ვატარებდი.

3. მეტეხის მუზეუმს (ახლანდელ ხელოვნების მუზეუმს) ვუტოვებ ჩემს საწერ მაგიდას ბრინჯაოს სამელნის კომპლექტით და სურათებსა და პორტრეტებს.

4. ჩემს ნაშვილევ ლიდა პოლტარაცკაიას ვაკუთვნებ ავტომანქანას, ჩემი მეუღლის ნივთებს (პარიზში გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული) და ჩემი დაკრძალვის ხარჯების შემდეგ რაც ფული დარჩება, იმასაც.

შემდეგ იმავე ანდერძში ნათქვამია, ჩემს ბინაზე რომელი ბიბლიოთეკისა და კერძო პირის წიგნიც კი აღმოჩნდება, პატრონს დაუბრუნდეს; მთავრობა პეტრე შარიას მივენდობით დაბარებულია, რომ ჩემი არქეოლოგიური მოგზაურობებისა და სხვა ხასიათის მეცნიერულ ალბომებს გამომიცემს. ნების აღმსრულებლებმა ამაზეც იზრუნონ და სხვ...

ამის შემდეგ მე სტუდენტებთან ლექციებით დატვირთულობისა და საკუთარი კვლევითი სამუშაოების გამო ექვთიმესთან ყოფნას კვირაში მხოლოდ სამ-ოთხჯერ ვახერხებდი. თანაც მოხუცს ექიმები დაძაბულ მუშაობას უკრძალავდნენ. ურჩევდნენ, მნახველებიც ნაკლებ მიეღო. მოხუცს კი სწყინდებოდა და გვთხოვდა: უფრო ხშირად მობრძანდითო.

ჩვენც დავდიოდით და იოლ თემებზე ველაპარაკებოდით, მასაც უფრო სასიამოვნო მოგონებებს ვაამბობინებდით. ის საამისო თავისსა და თავისივე სიტყვებით სხვის ჩანაწერებს (მაგ., მედეა ღამბაშიძე-ნიკოლაძისა, პარიზი) ხმამაღლა გვაკითხებდა და ცალკეულ დამატებებს გვაწერინებდა ხოლმე. ასევე წაგვაკითხა თავისი გამოქვეყნებული წერილები (პარიზის გაზეთებში) და გამოუქვეყნებელი წერილები ნოდიმ პავლეს-ძე კონდაკოვის (1844-1925), პროფ. ალექსანდრე ანტონის-ძე ცაგარელის (1844-1929), აკად. ნიკო მარის (1864-1934, ქართულად და რუსულად), იური მარისა (1893-1935) და ზოგიერთ სხვათა შესახებ.

უფრო გვიან კი აჭარის მუზეუმის გამგის ხარიტონ ახვლედიანის მიერ გამოგზავნილ აკად. ალექსანდრე თაყაიშვილის და დავით გუგუნავას, ილარიონ თაყას-ძე თაყაიშვილისა და სხვათა ლექსად შესრულებულ მიწერ-მოწერას, კალისტრატე რამაშვილის საოხუნჯო ლექსებსა და სხვა ასეთებსაც ვკითხულობდით ერთად.

ერთად ყოფნისა და მუშაობის თუ საუბრების დროს ექვთიმემ არა ერთი და ორი საყურადღებო ფაქტი ჩაგვაწერინა. უკვე იმდენი რამ ვლინდებოდა, რომ მათ ჩაწერას ველარც ვასწრებდი. დაკარგვა კი დანაშაული იქნებოდა. კიდეც უფრო იმიტომ, რომ ჩანაწერი დოკუმენტური ყოფილიყო, მე შევუწუხებდი ჩვენი მწერალთა მუზეუმის მაშინდელ დირექტორს პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს, რათა მას უწრუნველეყო ამ მოგონებების სტენოგრაფირება. გ. ლეონიძე ამ წინადადებას სიამოვნებით შეხვდა; მან თქვა: ჰონორარსაც კარგს მივცემ ექვთიმესო...

ექვთიმემ მოამზადა მასალა, ბევრი ცნობა ი. სონღულაშვილს ან პირადად ჩვენ დაგვაზუსტებინა სათანადო პრესის მიეხდვით. საპასუხო კითხვებიც ჩამოგვაწერინა და ჩამწერს ელოდებოდა. მაშინდელი ზოგიერთი ვითარების გამო ეს ჭიანურდებოდა, მავრამ ბოლოს და ბოლოს მოვიდნენ ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლები: ივ. ლოლაშვილი, ე. შუღლიაშვილი და ნუნუ ხომერიკი სტენოგრაფისტ თამარ გოგიავასთან ერთად. ჩაწერილ იქნა ექვთიმეს ნაამბობის ნახევარი, მეორე ნახევარი ვერ მოვასწარით.

ექვთიმეს ნაამბობის ჩაწერა ორ ნაწილად გადაწყვიტეს. ჩაწერილი ტექსტი ექვთიმეს გადაეცა, მან ის წაიკითხა, ზოგიერთ ადგილს ხელი გაუსწორა, ზოგიერთი ადგილი ამოიღო, ზოგიც დაამატა და ის ერთ დროს სოციალ-ფედერალისტები ვიყავით, ახლაც კარგად მეპყრობა, მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო... ის მაინც ჩემს ადგილზე ჩაგვწერინე.

21-22. X. 1947 წ. სათანადო თანხმობებიც მივუტანე ექვთიმეს, და ანდერძი გაფორმდა. ე. თაყაიშვილმა ვრცელი ანდერძიც დაგვწერინა იურისტ ალ. პოლტარაცკის (რუსულ ენაზე) 1947 წ. 4 ნოემბრის რიცხვით.

ამ საყურადღებო და ე. თაყაიშვილისათვის ფრიად დამახასიათებელი დოკუმენტის პირველ მუხლში ე. თაყაიშვილმა მემკვიდრე კი არ მოიხსენია, არამედ აღნიშნა:

1. ჩვენს აკადემიას ვუანდერძებ ჩემს ბიბლიოთეკას (ბინაზე არსებულ წიგნებზეა ლაპარაკი, თორემ პარიზში გამგზავრებამდე მისი კუთვნილი უზარმაზარი ბიბლიოთეკა უნივერსიტეტში იყო გადატანილი) და ხელნაწერებს. მასვე ვუტოვებ ჩემ მიერ შედგენილ ქართულ-ფრანგულ ლექსიკონს (47 რვეული), აგრეთვე ყველა ჩემი გამოცემის ცალებს (წიგნებსა და სტატიებს), რომლებიც კი სადმე მაქვს.

2. ჩვენს მუზეუმს ვუანდერძებ მთელ ჩემს ნუმიზმატიკურ კოლექციას და ბინოკლს. უკანასკნელი გრიგოლ გურიელმა მაჩუქა და ყოველ ექსპედიციაში თან ვატარებდი.

3. მეტეხის მუზეუმს (ახლანდელ ხელოვნების მუზეუმს) ვუტოვებ ჩემს საწერ მაგიდას ბრინჯაოს სამელნის კომპლექტით და სურათებსა და პორტრეტებს.

4. ჩემს ნაშვილევ ლიდა პოლტარაცკაიას ვაკუთვნებ ავტომანქანას, ჩემი მეუღლის ნივთებს (პარიზში გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული) და ჩემი დაკრძალვის ხარჯების შემდეგ რაც ფული დარჩება, იმასაც.

შემდეგ იმავე ანდერძში ნათქვამია, ჩემს ბინაზე რომელი ბიბლიოთეკისა და კერძო პირის წიგნიც კი აღმოჩნდება, პატრონს დაუბრუნდეს; მთავრობა პეტრე შარიას მივენდობით დაბარებულია, რომ ჩემი არქეოლოგიური მოგზაურობებისა და სხვა ხასიათის მეცნიერულ ალბომებს გამომიცემს. ნების აღმსრულებლებმა ამაზეც იზრუნონ და სხვ...

ამის შემდეგ მე სტუდენტებთან ლექციებით დატვირთულობისა და საკუთარი კვლევითი სამუშაოების გამო ექვთიმესთან ყოფნას კვირაში მხოლოდ სამ-ოთხჯერ ვახერხებდი. თანაც მოხუცს ექიმები დაძაბულ მუშაობას უკრძალავდნენ. ურჩევდნენ, მნახველებიც ნაკლებ მიეღო. მოხუცს კი სწყინდებოდა და გვთხოვდა: უფრო ხშირად მობრძანდითო.

ჩვენც დავდიოდით და იოლ თემებზე ველაპარაკებოდით, მასაც უფრო სასიამოვნო მოგონებებს ვაამბობინებდით. ის საამისო თავისსა და თავისივე სიტყვებით სხვის ჩანაწერებს (მაგ., მედეა ღამბაშიძე-ნიკოლაძისა, პარიზი) ხმამაღლა გვაკითხებდა და ცალკეულ დამატებებს გვაწერინებდა ხოლმე. ასევე წაგვაკითხა თავისი გამოქვეყნებული წერილები (პარიზის გაზეთებში) და გამოუქვეყნებელი წერილები ნოდიმ პავლეს-ძე კონდაკოვის (1844-1925), პროფ. ალექსანდრე ანტონის-ძე ცაგარელის (1844-1929), აკად. ნიკო მარის (1864-1934, ქართულად და რუსულად), იური მარისა (1893-1935) და ზოგიერთ სხვათა შესახებ.

უფრო გვიან კი აჭარის მუზეუმის გამგის ხარიტონ ახვლედიანის მიერ გამოგზავნილ აკად. ალექსანდრე თაყაიშვილის და დავით გუგუნავას, ილარიონ თაყას-ძე თაყაიშვილისა და სხვათა ლექსად შესრულებულ მიწერ-მოწერას, კალისტრატე რამაშვილის საოხუნჯო ლექსებსა და სხვა ასეთებსაც ვკითხულობდით ერთად.

ერთად ყოფნისა და მუშაობის თუ საუბრების დროს ექვთიმემ არა ერთი და ორი საყურადღებო ფაქტი ჩაგვაწერინა. უკვე იმდენი რამ ვლინდებოდა, რომ მათ ჩაწერას ველარც ვასწრებდი. დაკარგვა კი დანაშაული იქნებოდა. კიდეც უფრო იმიტომ, რომ ჩანაწერი დოკუმენტური ყოფილიყო, მე შევუწუხებდი ჩვენი მწერალთა მუზეუმის მაშინდელ დირექტორს პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს, რათა მას უწრუნველეყო ამ მოგონებების სტენოგრაფირება. გ. ლეონიძე ამ წინადადებას სიამოვნებით შეხვდა; მან თქვა: ჰონორარსაც კარგს მივცემ ექვთიმესო...

ექვთიმემ მოამზადა მასალა, ბევრი ცნობა ი. სონღულაშვილს ან პირადად ჩვენ დაგვაზუსტებინა სათანადო პრესის მიეხდვით. საპასუხო კითხვებიც ჩამოგვაწერინა და ჩამწერს ელოდებოდა. მაშინდელი ზოგიერთი ვითარების გამო ეს ჭიანურდებოდა, მავრამ ბოლოს და ბოლოს მოვიდნენ ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომლები: ივ. ლოლაშვილი, ე. შუღლიაშვილი და ნუნუ ხომერიკი სტენოგრაფისტ თამარ გოგიავასთან ერთად. ჩაწერილ იქ-

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 1, 2, 3. 1969 წ.

ქართველი მუსიკოსი — კაიროს კონსერვატორიის რექტორი

1967 წლის სექტემბერში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დედაქალაქ კაიროს კონსერვატორიას ახალი რექტორი მოევლინა. ეს გახლდათ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პრორექტორი ირაკლი ბერიძე. ქართული სავიოლინო სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, ბევრი ნიჭიერი შემსრულებლის აღმზრდელი, ჩვენი ეროვნული მუსიკის ცნობილი პოპულარიზატორი ი. ბერიძე ცნობილი იყო აგრეთვე როგორც კარგი ორგანიზატორი — შემთხვევით როდი მიიწვიეს რამდენჯერმე ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა მოსკოვის საერთაშორისო კონკურსის ჟიურის პასუხისმგებელ მდივნად. და როცა ეგვიპტის კულტურის სამინისტრომ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სთხოვა გაეგზავნათ მათი კონსერვატორიის რექტორად კარგი მუსიკოსი და გამოცდილი აღმზრდელ-ხელმძღვანელი, არჩევანი სწორედ მასზე შეჩერდა.

დაიწყო სრულიად ახალ ვითარებაში. უცნობ გარემოში, უცნობ ადამიანებთან ერთად დაძაბული მუშაობის დღეები, როცა ყველაფერს სწრაფად უნდა ჩასწვდომოდა, ალღო აეღო, გაეაზრებინა და არაბი ახალგაზრდობის მუსიკალური სწავლა-აღზრდის პროცესი სწორად წარემართა.

ადრე ეგვიპტის ნიჭიერი ქალიშვილები და ჭაბუკები უმაღლეს მუსიკალურ განათლებას უცხოეთში იღებდნენ, რადგან მაღალკვალიფიციურ პედაგოგთა ეროვნული კადრების სიმცირე იგრძნობოდა. საჭირო იყო მუშაობის იმგვარად წარმართვა, რომ შექმნილიყო ეროვნული კონსერვატორიის მყარი პედაგოგიური ბირთვი და ეს საპატიო მისია, არსებითად, საბჭოთა მუსიკალურმა სკოლამ იკისრა. კაიროში მოღვაწეობენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მათ შორის თბილისის კონსერვატორიის პედაგოგები ა. ჩიჭავაძე (ჩელო), ლ. იაშვილი (ვიოლინო), დ. ბადრიძე (ვოკალი), რომლებსაც ახალგაზრდობასთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ, და სხვები. დიდი ყურადღება მიექცა სწავლების ორგანიზაციის გაუმჯობესებას, სასწავლო გეგმების შედგენას, რაც ადრე არ ჰქონდათ, დაწესდა შუა წლის გამოცდები. მოსამზადებელ სკოლაში გამოიყო 40-ბავშვიანი ჯგუფი, რომელიც გადის საერთო განათლების საგნებს (დაახლოებით ისევე, როგორც თბილისის ცენტრალურ მუსიკალურ ათწლედში). წინათ სტუდენტები სასწავლებელში მხოლოდ დღის პირველ საათამდე რჩებოდნენ. ახლა შემოიღეს უფასო საუზმე და სწავლა საღამოს 6-7 საათამდე გრძელდება.

განვლილ წელიწადნახევარში ი. ბერიძემ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. იგი კულტურის სამინისტროს საბჭოსა და უმაღლესი საოპერო კომიტეტის წევრია. ეგვიპტელები ანგარიშს უწევენ მის აზრს, წინადადებებს. ამ ხნის განმავლობაში კაიროს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა 30-მდე წერილი, კორესპონდენცია, კონსერვატორიის ცხოვრებაზე, მის რექტორზე, ი. ბერიძის სამემსრულებლო მოღვაწეობაზე. იგი ხშირად აწყობს საჯარო კონცერტს, გამოდის რადიოთი და ტელევიზიით. ერთთვიურის დღეებში, მაგალითად. ტელევიზიამ გადასცა მისი კონცერტი, რომლის პროგრამა შეადგინა ვაგნერის, ხაჩატურიანის, გლუკისა და ნოვაჩეკის ნაწარმოებებმა: კონცერტი გამოირჩეოდა დიდი მუსიკალობით, ბრწყინვალე ტექნიკით.

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში საბჭოთა კულტურის ერთთვიურთან დაკავშირებით ყოფნისას პროფესორ პაველ სერებრიაკოვთან და მარინე იაშვილთან ერთად ორჯერ ვეწვეთ კაიროს ეროვნულ კონსერვატორიას. სასწავლებელი მოთავსებულია შესანიშნავ შვეიცარულ შენობაში და ხელოვნების ინსტიტუტის (ბალეტი, კინომატოგრაფია, დრამატული ხელოვნება) ერთ-ერთ კორპუსს შეადგენს. აქ აქვთ კაროი საკლასო აუდიტორიები, საუცხოო მცირე და დიდი საკონცერტო დარბაზები. გავეცანით პედაგოგების მუშაობას, აღსაზრდელებს. დავესწარით მიმდინარე სასწავლო წელს ჩამოყალიბებული სტუდენტთა სიმფონიური ორკესტრის მეცადინეობას, რომელსაც სათავეში უდგას მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტურის კურსდამთავრებული არაბი დირიჟორი საიდ ავადი, არსებობის ხანმოკლე ვადის მიუხედავად ორკესტრმა უკვე მოიპოვა წარმატებები და იგი უთუოდ დიდ როლს შეასრულებს არა მარტო ეგვიპტის პროპაგანდაში, არამედ კაიროს სიმფონიური ორკესტრისათვის ადგილობრივი კადრების მომზადებაშიც. საერთოდ, ეროვნული სეროზული მუსიკის განვითარებაში.

მოვისმინეთ პროფესორების ი. ბერიძისა და ლ. იაშვილის სავიოლინო კლასების რამდენიმე სტუდენტის დაკვრა. რამაც საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა.

დიდი გატაცებით, საქმის სიყვარულით შრომობენ ჩვენი თანამემამულენი — მევიოლინეთა შესანიშნავი პლეადის აღმზრდელი ლ. იაშვილი და დ. ბადრიძე, რომელიც საოპერო დასში ამზადებს ჯ. პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანის“ დადგმას. აქ გულთბილად ახსენებენ ა. ჩიჭავაძეს, რომელმაც, ფაქტიურად, დააარსა ჩელოს კლასი. ახლა ამ კლასს ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსი თ. გოლელაური ხელმძღვანელობს.

მარტში კონსერვატორია რამდენიმე კონცერტით მონაწილეობას მიიღებს დედაქალაქის 100 წლისთავისა და ადგილობრივი საოპერო თეატრის არსებობის ერთი საუკუნისადმი მიძღვნილ დღესასწაულში.

ვ. ფალიაშვილი,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ნა უძვირფასესი მასალა. იგი ე. თაყაიშვილმა წაიკითხა და კვლავ შეასწორა და ასე გამოიცა. ამის შემდეგ იმავე ტექსტის ხელახალი გამოცემისას სხვის მიერ კუპიურება სწორად არ მიგვაჩნია.

ე. თაყაიშვილის კრებულის I ტომში, სხვებულ სტენოგრაფიულ ჩანაწერებს გარდა, სხვათა ჩაწერილი მოგონებებიც არის მოთავსებული. მეორენი, თავიანთი მნიშვნელობით, პირველთ ვერ შეედრებიან. მაგ., ასეთებია თაყაიშვილთა საგვარეულოსა და ქორ-მიმინოთა წვრთნის ამბები, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია, რომ ისინიც ფიქსირებული არიან.

ასეთთა ნაწილი ჩაწერილია 1948 წელს ე. თაყაიშვილისათვის დამსმარედ დანიშნულ გ. ლომთათიძისა და მისი მეუღლის ნინო ღოღობერიძის მიერ.

მასალებისათვის წამძღვარებულ მოკლე წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ირ. სონღულაშვილი „მხოლოდ ლიტერატურის ახერხებდა“ ექვთიმესთან ყოფნას საკუთარი სამსახურის გამო და ამიტომ მას მაინცდამაინც ვერ შეეცილება. ამას მე ვერ დავადასტურებ. პირიქით, ის ყველა სხვებზე უფრო მეტად იყო ექვთიმესთან. რატომღაც იქ ჩვენ არც კი ვიხსენიებით!

მართალია, გ. ლომთათიძე ხელფასით მუშაობდა ე. თაყაიშვილთან, მაგრამ მისი ძირითადი სამსახური სხვა იყო, ან გათხრებზეც უხდებოდა არქეოლოგს ყოფნა. 1950 წლიდან ის ნაკლებ და ბოლოს აღარც დადიოდა მოხუცთან.

ირინე ვასილის ასული ციტაიშვილი მეზობლად ცხოვრობდა ე. თაყაიშვილთან. საამაყო მეზობელს ზოგჯერ შეელოდა. მაგ., მან მას ხელი შეუწყო ოშკისა და ხახულის სიძველეთა აღწერის გაფორმებაში და მას მეცნიერმა შინაც გაატანა ქართულ-ფრანგული ლექსიკონის 10 რვეული, რომლებიც მეზობელმა გულდასმით შეამოწმა. ასევე იქცეოდნენ ლ. დოლაბერიძე და ცაცა გაგაშელი. ამათ ექვთიმე აძლევდა გასამრჯელოს, გ. ლომთათიძეს კი — უნივერსიტეტი.

1948 წლის 5 იანვარს ექვთიმე თაყაიშვილს 85 წელი უსრულდებოდა. წინასწარ ეუთხარით: იქნებ ამ თარიღის იუბილეთი აღნიშნა მოსურხდესო. მან სასტიკი უარი თქვა. არ გახსოვთ, რა მოგწერათ ნ. მარმა ასეთ საკითხზეო.

როგორ არა-მეთქი, — ვუპასუხე; — ლენინგრადიდან კონსტანტინოპოლში მივწერე მას: თქვენი მოღვაწეობის 45 წლისთავის აღნიშნას აპირებენ-მეთქი. ნ. მარმა კი მომწერა, მაგ საქმეში ნურც მე გამრევთ და ნურც თქვენ ჩაერევით. მე იუბილეზე არც კი მოვალო... (ბარათი გამოქვეყნებულია).

— ჰოდა, მეც მაგ აზრისა ვარ, — მიპასუხა ექვთიმემ. — გააღო მაგიდის ყუთი, საქაღალდიდან ამოიღო ნაბეჭდი ფურცლები და ერთი ეგზემპლარი მაჩუქა. შინ წაიკითხეთო, — მითხრა. — ეს მაშინ დავწერე, როდესაც პარიზში იუბილეს მოწყობას მიპირებდნენო.

ამ ფურცლიდან აქ მხოლოდ ნაწყვეტები მოგვყავს:

„მიმართვა ქართველი ემიგრაციისადმი

იყო დრო და ეს არც ისე დიდი ხანია, რაც ჩვენი ინტელიგენცია ერთობ გულგრილად უცქეროდა ქართულ საკულტურო ნაშთებს და თავს არ იწუხებდა მათი შეგროვებისა და გამოცემისათვის. ამ გულგრილობამ დიდძალი პირველხარისხოვანი ძეგლები დაგვიკარგა. რაც მამებს თავიანთ ძველ ოჯახებში დაგროვილი ჰქონდათ, შვილებმა დაკარგეს.

ამჟამად, ჩვენდა საბედნიეროდ, იშვიათია ისეთი განათლებული ქარველი, რომელსაც არ შეეგნოს და რომელიც არ ცდილობდეს ქართული ისტორიისა და ლიტერატურის გაცნობას...

ქართული სულიერი, გონებრივი და მატერიალური კულტურა რთულია, მრავალმხრივი და ბევრ რამეში მეტად თავისებურია. იშვიათია პატარა ერი, რომელსაც ასეთი მდიდარი ძველი კულტურა ჰქონდეს. ამ კულტურამ გადაარჩინა ქართველი ერი მოსპობას ჟამთა ვითარების აბობოქრებული ქარტეხილისაგან, მისცა უნარი სიმტკიცისა, გამძლეობისა და ყოველი ჭირის გადატანისა.

ვინც ამ კულტურას, ასე თუ ისე, არ იცნობს, ის არასოდეს არ იქნება ნამდვილი ქართველი, ჭეშმარიტად ქართული სულის მატარებელი, მას გადაგვარება მოელის, თუ უკვე გადაგვარებული არ არის. ამიტომ ყველა მოვალე ვართ ხელი შევუწყოთ ჩვენი კულტურის საფუძვლიანად შესწავლას, რაც, პირველ რიგში, უნდა გამოიხატოს საკულტურო მასალების შეკრებაში და უკვე შეკრებილის გამოქვეყნებაში...

დრო მიდის, მე მივიწურე აღსასრულისაკენ „ადამის ტომთა წესითა“, და ჩემს შემდეგ ამ მასალას თავს ვერავინ გაართმევს. თანა მაქვს, სხვათა შორის, შესანიშნავი სახუროთმოძღვრო ძეგლების გეგმები სამუსულმანო საქართველოსი და მრავალი ფოტოგრაფიული სურათი...

ამიტომ გავკადნიერდები, ვინაიდან ეს საზოგადო ქართული საკულტურო საქმეა და მივმართავ ყველა საზღვარს გარეთ მყოფ ქართველ ორგანიზაციებს და თვითეულ საზღვარს გარეთ მყოფ ქართველს განურჩევლად პარტიისა კეთილ ინებონ და ვისაც რა შეუძლია, დაგვეხმარონ ამ საქმეში...

მე მოწმე ვარ იმ საოცარი ევოლუციისა, რომელიც ჩვენში მოხდა ამ საკითხში. თუ პირველ ხანებში ამ დარგში მუშაობის დროს მე სასაცილოდ მიგდებდნენ, თავს მესხმოდნენ, განსაქიქებელ წერილებს მიძღვნიდნენ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების შემდეგ მტრული განწყობილება სიმპათიად შეიცვალა. ყველამ დიდი პატივი დამდო, ძვირად თუ ვისმე გავუწბილებივარ საყურადღებო ხელნაწერების და ნივთების შემოწირვაში. რაშიაც ფუულს ვაძლევდით, იმასაც სულ იაფად გვითმობდნენ... სამწუხაროდ, ჩვენი ემიგრაცია დაქსაქსულია პოლიტიკური მიმართულების თვალსაზრისით. ამ საქმეში მაინც შევერთდეთ...

ახლო ხანში 50 წელი შესრულდება, რაც მე სამედაგოგო დარგში და ამ დარგში დავიწყე მუშაობა. ამის გამო ზოგმა ჩემმა ყოფილმა შეგირდმა მომმართა წინადადებით იუბილეს მოწყობის შესახებ, რაზეც რა თქმა უნდა, უარი განვაცხადე, პირველად იმიტომ, რომ საიუბილეო არაფერი გამიკეთებია. მე მხოლოდ ჩემს ქართულ მოვალეობას ვასრულებდი. მეორედ იმიტომ, კიდევაც ღირსი რომ ვიყო იუბილესი, ჩვენს პირობებში, ემიგრაციაში, იუბილე ვის გაუგონია! არ ეგების! იუბილეზე მეტად ჩავთვლი და უფრო სასარგებლოც იქნება, თუ ამ (ზემოხსენებულ ნაშრომების, ი. მ.) გამოცემათა საშუალებას მომიხერხებენ.

———

(დასასრული მე-7 გვერდზე).

შ ე ნ დ ე ბ ა...

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო... ირგვლივ ესკიზები, მაკეტები და პლანშეტებია. არქიტექტორთა ზოგიერთ ნაშრომზე უამბო ჩვენს კორესპონდენტს ბიუროს უფროსმა გივი ჯაფარიძემ.

— ორი 27-სართულიანი სასტუმრო თბილისის თავისებური კარიბჭე გახდება. მაში აგება გათვალისწინებულია ქალაქში შემოსასვლელთან საქართველოს სამხედრო გზის მხრივ. ორიგინალურია მაღლივი სასტუმროების დაგეგმვა. მათი ფასადები მოგვაგონებენ ძველებურ ქართულ ციხე-სიმაგრეს. მეორე მხარე მთლიანად შემინულია.


თვითეულ სასტუმროში 500 ადგილია. ორივე კორპუსი შეერთებულია მიწისქვეშა დერეფნით, რომელშიც მოთავსდება კაფე-ბარი და სუვენირების მაღაზია. იქნება ორი რესტორანი და ერთსართულიანი კონფერენც-დარბაზის შენობა.


ჩვენი პროექტით მოხდება მცხეთის კულტურის სახლის რეკონსტრუქცია. სამსართულიან შენობაში მოთავსდება ორი კინოდარბაზი — სამასადგილიანი საზაფხულო და ხუთასადგილიანი საზამთრო, გამოფენის დარბაზი, ოთახები მხატვრული თვითმოქმედების წრეების მეცადინეობისათვის, პირველ სართულზე მოთავსდება ქორწინების სასახლე.

სოხუმში დაიწყო მოდების სახლის მშენებლობა. ქვაბული ამოიღეს საყოფაცხოვრებო სახლისათვის წყალტუბოში. აქ დაპროექტებულია სილამაზის სალონები, მოდების ატელიე, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემკეთებელი სახელოსნო, სამკერვალო. ამ შენობის გვერდით აიგება 16-სართულიანი სასტუმრო.

ახალი საყოფაცხოვრებო სახლები გაჩნდება ბათუმში, ბიჭვინთასა და კუროორტ ლებარდეში.

ბიუროს არქიტექტორებმა დააპროექტეს „ყოფაცხოვრების დაბა“. მის კომპლექსში შევა ორსართულიანი სასტუმრო-პანსიონატი, კაფე-რესტორანი, სპორტული მოედნები, აუზი. ახლო მომავალში „ყოფა-ცხოვრების დაბები“ გაჩნდება ბაგების, ლისისა და კუს ტბების რაიონებში, თბილისის ზღვის ნაპირას.





თბილისური ზამთრის სურათები



თავგადასავლებისა და ცოდნის წყურვილით გატაცებული ახალგაზრდა ალექსანდრე მელიავა 20-იან წლებში ახლობლებისაგან შორულად გაემგზავრა საზღვარგარეთ და თავისი ცხოვრების დანარჩენი წლები უცხოეთში გაატარა. იგი გარდაიცვალა გასული წლის მაისში პარიზში. დატოვებული ანდერძის თანახმად საფრანგეთში მცხოვრებმა შვილებმა მამის ფერფლი საქართველოში ჩამოიტანეს და ქ. გათუმში დაკრძალეს.

ალ. მელიავას ლექსები ადრეც გამოქვეყნებულა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სხვადასხვა ფსევდონიმით. ამჟამად გთავაზობთ ორი ლექსის თარგმანს, რომლებიც ამოღებულია მის მიერ 1967 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემული ლექსების კრებულიდან.

ალექსანდრე მელიავა

ორი ლექსი

□ □ □

საქმრობლოვ ჩემო

მშობლიურო აკვანო,
მამა-პაპის მიწავ,
მხოლოდ შენით ვსულდგმულობ,
შენ მათბობ და მიცავ.
სიუხვით და სიბრძნით
მუდამ საფსე მხარევ,
სიმამაცით ვერვინ
გაგისწოროს მხარი.
ზურმუხტის გაქვს მიწა,
ზეცა-საფირონის,
შენთან უზრუნველი
გავატარე დრონი.
ლამაზი გაქვს მთები
ცაში დაკიდული,
მხოლოდ შენთან მღერის
ასე ნაკადული.
ვაზით აგივსია
თვალუწვდენი ველი,
უეცლო გაქვს ვარდი
ასე სასურველი.
ზამთარ-ზაფხულ, მუდამ
შრიალია ხეთა,
მამა-პაპის კერავ
გიცან სამოთხედა.
ლელვის, მანდარინის,
ფორთოხალის რთველი,
შენს მიწაზე ვნახე,
ჩემო საქართველო.

შენთან ქალიშვილთა
დამიკარგეს რული,
მე მანდ ვიგრძენ დიდი
ტკბილი სიყვარული.
შენ არა გყავს ტოლი,
მშობლიურო, კარგო,
უშენობით ყოფნას
აზრი დაეკარგა.
და გულს გაუძლისი
დარდი მოესია
სინათლეო, წყარო,
დიდო პოეზიავ!
ბევრჯერ გცემდნენ მახვილს,
სისხლით დაიფერე,
ვით ფენიქსი, ისე
წარმომდგარხარ მერე.
ჩემო სიხარულო,
საფიცარო წმინდა,
შენთვის ვცოცხლობ დღემდე,
შენთვის მოვკვდე მინდა.
ვიცი უცხოეთში
აღმომხდება სული,
მაგრამ შენი სიო
აქეთ გადმოსული,
მე რომ მიამბობდა
მთელი ქვეყნის ამბებს,
ფერფლს წაიღებს ჩემს და
შენთან მიმოაბნევს.

სულში ზამთარი დგას, მძვინვარე და მოთარეშე

რაიც მაღელვებს, ყოველივეს განვუდგე მინდა,
რომ სულს დატანჯულს სულ ოდნავი მივცე შვებანი,
მაგრამ არ ძალმიძს დავივიწყო ტკბილი და წმინდა
ახალგაზრდობის ვარდისფერი მოგონებანი.
ვიცი კაცს გული ერთხელ მაინც დაეკოდება,
მე კი ნაღველა გამისივდა უცხო მხარეში.
ჩემო საშობლოვ, შეისმინე ხვეწნა-გოდება —
ნუ მიმატოვებ სამუდამოდ სიმწუხარეში.
დამარცხებაც და გამარჯვებაც ხვედრია კაცის
და არა გქვია ამა ქვეყნად მთლად უქონარი,
თუკი შემოგრჩა ნაჩუქარი ძვირფასი განძი
ია ან ვარდი — წარსულ დღეთა მოსაგონარი.
ვერ გაიმეტა ჩემთვის ერთი ვარდის ფურცელი
ქვეყნად ვერავინ, არ ვახსოვარ სულიერს არვის.
და ხიზნობას და გაჭირვებას თუ გავუძელი,
სამშობლოვ, შენგან ბოძებული სიმტკიცე არის.
საფრანგეთიც ხომ ლამაზია, როგორც ზღაპარი,
ბევრს არ ჰგონია მისი მსგავსი ქვეყნად თუ არი.
მე აქ დავდივარ უმეგობრო, მიუსაფარი,
უდაბნოდ მექცა შანზელიზე, პლას დიტუალი.
სინათლითა და ბრბოს ღიმილით გაჩაღებული
ბრწყინავს პარიზი, დგას პარიზი ლამაზად, მხნედ,
მე კი სული მაქვს ჩაქუფრებულ — ჩაჯანღებული,
დამიშრა თვალნი, ბედის ვარსკვლავს ველარა ვხედავ.
გულში ბალღამი დაგროვდა და მაფორიაქებს,
სულში ზამთარი დგას მძვინვარე და მოთარეშე
დავრჩი ეული, გარიყული, როგორც იაქი,
ვკვდები ყოველგვარ ღიმილსა და ლოცვის გარეშე.

თარგმანი ფრანგულიდან გ. კავთიაშვილისა.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ რედაქციას

მადლობას გიძღვნით

ჩემო ძვირფასო თანამემამულენო!

უპირველესად ბოდიში უნდა მოგიხადოთ, რომ აქამდე მადლობა არ მომიხსენებია თქვენთვის. თქვენი გაზეთი ჩემთვის მაცოცხლებელი სიოა, მე ბედნიერად ვგრძნობ თავს, როცა მის ფურცლებზე ვნახულობ ჩემი ლამაზი სამშობლოს სურათებს, რომლის ხილვის ბედნიერება მქონდა 1961 წელს. მაშინ საქართველოში მხოლოდ 25 დღით დავრჩი, მაგრამ უდიდესი სიამოვნება განვიცადე.

მე ვიცი ჩემი მშობლიური ენა, მესმის ყველაფერი ქართული, მაგრამ საუბედუროდ, საკმაო პრაქტიკა არა მაქვს და მიჭირს. ჭართულად რომ მომეწერა, მთელი დღე დამჭირდებოდა იმის ასახსნელად, რისი თქმაც გულითა მსურს.

თქვენს გაზეთს პირველი სტრიქონიდან ბოლომდე ვკითხულობ და რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ვუბრუნდები ხოლმე უკვე წაკითხულს. იქ არც თუ იშვიათად ვხვდები ხოლმე ჩვენი ოჯახის მეგობართა სახელებს. სამწუხაროდ, ამ სახელებს უფრო ხშირად მემუარულ წერილებში ვხვდები და უსასრულო მწუხარებას განვიცდი იმის გამო, რომ არ შემიძლია თუნდაც ერთი ყვავილი მივიტანო მათ საფლავზე.

მრავალი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ გამოაქვეყნეთ შესანიშნავი წერილი მსახიობ ელენე თარხნიშვილზე, რომელსაც კარგად ვიცნობდი. ჯერ ისევ ბავშვი ვიყავი, როცა მან ისეთი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, რომ ოპერა „რიგოლეტოს“ დასაწყისიდან დამთავრებამდე ცრემლად დავიღვარე. მაშინ მამაჩემი იძულებული გახდა მისულიყო მსახიობთან და სადილად მოეპატიჟებინა. მე ყველაზე ბედნიერი გოგონა ვიყავი ამ ქვეყნად, როცა ჩემი თანამემამულე ჩვენს სახლში ვიხილე.

იცით? საჭიროა მოცილებული იყოთ მშობლიურ კერას, რომ გაიგოთ ყოველივე ეს. მე ახლა მესმის მამაჩემისა, რომელიც დღე და ღამე ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზე, მახსენდება ცრემლით სველი მისი თვალები.

ვშიშობ ბევრი დრო წაგართვით ჩემი წერილით. გეთხოვებით და კვლავ მადლობას გიძღვნით ყველა თქვენი პატივისცემისათვის. ყოველივე სიკეთეს ვუსურვებ ჩემს უსაყვარლეს სამშობლოს და ყველა თქვენგანს, ძვირფასო უცნობო თანამემამულენო.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი მეგობრული სალამი.

თქვენი

მ. გოდოგანო (თუმანიშვილი).

იტალია, ტრიესტი.

1969 წლის თებერვალი.

გამოიცა:

ინგლისურად, გერმანულად, ესპერანტოდ, იაპონურად...

ნიჰიერ პროზაიკოსს ნოდარ დუმბაძეს კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნის მკითხველები. პირველი მოთხრობების გამოჩენისთანავე მან ყურადღება მიიპყრო როგორც მხატვრული სიტყვის შესანიშნავმა ოსტატმა. მწერლის ნაწარმოებები თარგმნილია სსრ კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე. მოსკოვის გამომცემლობა „პროგრესმა“ მისი რომანები გამოუშვა ინგლისურ და სპარსულ ენებზე. ნოდარ დუმბაძის წიგნები გამოვიდა იაპონიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. თურქეთის გამომცემლობა გამოსაცემად ამზადებს რომანს „მე ვხედავ მზეს“.

სცენური სიცოცხლე მოიპოვეს ნ. დუმბაძის ნაწარმოებთა გმირებმა. მისი პიესები წარმატებით იდგმება თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის, ბელორუსის, უკრაინის სცენებზე. პიესა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ სსრ კავშირის სახალხო არტისტს გ. ტოვსტონოგოვის დადგმით ლენინგრადის დიდმა დრამატულმა თეატრმა უჩვენა ინგლისში და მას დიდი წარმატება ჰქონდა. ამ პიესის პრემიერა გაიმართა ამას წინათ ფინეთის ქალაქ ტურკუში.

ამ ცოტა ხნის წინათ ვაშინგტონის გამომცემლობამ ინგლისურ ენაზე გამოუშვა ნ. დუმბაძის რომანი „მზიანი ღამე“. წიგნისთვის წინასიტყვაობა დაწერა ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა და კრიტიკოსმა რობერტ პენმა.

დიდი მეცნიერი, მამულიშვილი

(დასასრული)

ნუვინ დამწამებს, თითქოს მე ჩვენი ემიგრაციის სიღარიბე არ ვიცოდე. არა, ძლიერ კარგად ვიცი, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, ჩვენში საზოგადო საქმე თუ რამე გაკეთებულა, ისევ ღარიბი ქართველის ჯიბით და მისი ინტელიგენციის წყალობით. მდიდრები ცოტა გვყავდნენ და ვინც გვყავდა, ბევრი საიმისო არაფერი გაუკეთებიათ. თუ გული გულობს და ყველანი შევერთდებით. საერთო წვლილით ამ საქმეში, მათ ვთხოვ წინდაწინვე მიიღონ ჩემი უღრმესი მადლობა და თანაგრძნობა.

25 ნოემბერი
1936 წ.

პატივისცემით ექვთიმე თაყაიშვილი“.

იუბილეს მოწყობაზე თბილისშიც შევწყვიტეთ ლაპარაკი. აკაკი შანიძემ და გიორგი წერეთელმა გვითხრეს: შეხვედრა მაინც მოვუწყოთო. ექვთიმემ არც ამისი ნება დაგვრთო.

გავიდა დღეები, და მან გვთხოვა: საღამოს ჩემთან მობრძანდითო. მივედით: ა. შანიძე, ირ. სონღულაშვილი, სამსონ ფირცხალავა, ხარლამპი ღლონტი, დიმიტრი ჯავახიშვილი, ივანე ნიჟარაძე, მე, ორი-სამი სხვა ვინმე და ექვთიმეს რამდენიმე მოგვარე და ნათესავი.

შესანიშნავი სუფრა დაგვხვდა გაშლილი. საფერავი და შამპანურიც ბლომად ჰქონდა მასპინძელს. ბატონ ექვთიმეს 85 წელი მივულოცეთ. თამადად აკაკი შანიძე ავირჩიეთ. მაშინ მიღებული პირველი საერთო სადღეგრძელოს შემდეგ მან იუბილარი ადღეგრძელა, შემდეგ მის ნაშვილევ ლიდიას და ამის ქმარს ალექსანდრეს უსურვა კარგად ყოფნა და ექვთიმეს სიცოცხლე, მერმე სამსონ ფირცხალავა ადღეგრძელა. ამ დროს ექვთიმემ შენიშნა: „ბატონო აკაკი! აკადემიკოსობა უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე თამადობა, ჩემს შემდეგ ქალები უნდა გედღეგრძელებინათ!..“

აკაკიმ, რა თქმა უნდა, ეს იცოდა, მაგრამ სამსონის ასაკს სცა პატივი. მას შემდეგ არც ქალები დაუტოვებია უდღეგრძელებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ე. თაყაიშვილი საკუთარი იუბილეს წინააღმდეგი იყო, სხვის იუბილეებს მაშინვე ეხმაურებოდა. მაგალითად, იუბილარ ნინო ნაკაშიძეს გულთბილი დეპეშა გაუგზავნა. ივანე გომელაურის იუბილეზე კი მისალმება და წარწერით თავისი წიგნი „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“ (პარიზი, 1937) გაგვატანა; აკად. ი. მეშჩანინოვის იუბილეზე დეპეშა გაგვაგზავნინა ლენინგრადში და სხვ.

ექვთიმე სხვა საზოგადოებრივ საქმეებსაც ეხმაურებოდა, კონსულტაციებს უწევდა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (1932-1952) საკულტო ნაგებობათა დასაცავად შერჩევაში, ზოგიერთ მათგანზე დასათვალიერებლადაც მიჰყვებოდა. მაგალითად, ვიყავით დიღომსა და მცხეთაში, ნინოწმინდასა და ბოლნისში, თბილისში ლურჯ მონასტერსა და ქაშვეთში (აქ ლ. გუდიაშვილის მხატვრობაზე იყო მსჯელობა) და სხვაგანაც.

ე. თაყაიშვილი მეცნიერებასაც არ აკლებდა ყურადღებას. მაგალითად, 1948-1949 წლებში პავლე ინგოროყვამ წაუკითხა მას თავისი კაპიტალური ნაშრომის „გიორგი მერჩულის“ დიდი ნაწილი, რომელიც შემდეგ პირველად „მნათობში“ დაიბეჭდა და ბოლოს ცალკე ტომადაც გამოიცა (თბილისი, 1954).

ბევრი ისტორიკოსი და არქეოლოგიც მოდიოდა მასთან, ზოგჯერ პედაგოგებიც, მაგალითად, გიორგი თავზიშვილი, პარმენ ჯანიშვილი და სხვა. ყველას სასარგებლო რჩევას აძლევდა.

ე. თაყაიშვილი განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდა ახალგაზრდობისადმი. იტყოდა ხოლმე: სვანეთში რომ ვიყავი პირველად, აზრიანობით ერთი ბიჭი მომეწონა, ცხენზე შემოვისვი, წამოვიყვანე, სწავლაში ხელი შევუწყე, შემდეგ ჩემი ცოლისდა მივათხოვეთ. ეს იყო ივანე თევდორეს-ძე ნიჟარაძე (1874-1956, შდრ. ე. თაყაიშვილი, ტ. I, გვ. 398,[1]).

1951 წლის მეორე ნახევრიდან ე. თაყაიშვილი ლოგინად ჩავარდა.

წელიწადიც არ გასულა, რომ ავადმყოფს უიმედობა დასჩემდა. ერთ დღეს მითხრა: „მე ფეხი მტკიოდა, თორემ შინაგანი ორგანიზი ძალიან ჯანმრთელი მქონია. არასდროს ტკივილები არ მიგრძვნია, გარდა იმისა, რომ ფილტვების ანთების დროს გვერდი მეწვოდა და სუნთქვა მიჭირდა. ახლა იმ გულმაც დამიწყო ტკივილი, რომელიც უნდა არც კი ვგრძნობდი, სად მქონდა. ღამე სული მეხუთება, საწყალი ჩემი შეუღლეც მესიზმრება. მალე წავალ, გეშვიდობები, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!“..

ამის შემდეგ მან კიდევ ორი თვე იცოცხლა, და 1953 წლის 21 თებერვალს გულის დამბლით გარდაიცვალა...

24 თებერვალს ვაკის სასაფლაოზე ალექსანდრე ბარამიძემ და ქრისტინე შარაშიძემ მიცვალებულს გულთბილი გამოსათხოვარი სიტყვები უთხრეს. იგი იქვე დავკრძალეთ.

1959 წლის იანვარში გარდაიცვალა ე. თაყაიშვილის უახლოესი მოწაფე ირრდიონ თომას-ძე სონღულაშვილი. ჩვენც ვთხოვეთ და ამის გარდაც, თურმე, შალვა ამირანაშვილსაც აგრე მოეფიქრებინა და მისივე ინიციატივით ექვთიმეს უსაყვარლესი მოწაფე მასწავლებლის გვერდით დაიკრძალა.

1963 წლის 10 თებერვალს ექვთიმე თაყაიშვილის ნეშტი დიღუბის პანთეონში გადაასვენეს.

ამავე საფლავზე ძეული დაიდგა. ე. თაყაიშვილს ამ პანთეონზეც მიუძღვის ღვაწლი.

მშობლიურ სოფელ ლიხაურში ექვთიმე სიმონის-ძე თაყაიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი შეიქმნა და მისივე სახელობის სკოლაც გაიხსნა.

ე. თაყაიშვილი ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწე იყო. ის ამბობდა, იშვიათად მოიპოვება მეორე ჩვენებრ მცირერიცხოვანი ერი, რომელსაც ისე დიდი კულტურული წარსული ჰქონდეს, როგორიც ჩვენა გვაქვსო. ამ „კულტურამ გადაარჩინა ქართველი ერი მოსპობას“.

ჩვენ დავუმატებთ, პირიქითაც, კულტურულობამ დაიცვინა ქართველ ხალხს ეროვნული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები. ექვთიმე თაყაიშვილი იყო იმ უდიდეს ქართველთაგანი, რომლებმაც დაიცვეს ეს ეროვნული განძეულობა, იგივე მეცნიერი ჩვენი ისტორიის პირველწყაროების უბადლო შემკრები იყო, მისი უბადლო დამცველი და მრავალმხრივი მკვლევარი, მოქალაქეობრივი გრძნობითა და პატიოსნებით აღჭურვილი, ჩვენი ისტორიის მეორე დიდი ექვთიმე — მისი დროის საქართველოს ჭეშმარიტი მეჭურჭლეთუხუცესი.

მეცნიერების პროგლემები

სწავლობენ მეხსიერებას

მეხსიერების პრობლემები არა მარტო ნეიროფიზიოლოგთა, არამედ მეცნიერების იმ დარგების სპეციალისტთა დიდ ყურადღებას იპყრობს, რომლებიც, ერთი შეხედვით, შორს დგანან ფიზიოლოგიისაგან. ესენი არიან ფიზიკოსები, მათემატიკოსები, კიბერნეტიკოსები, ეკონომისტები, რადიოელექტრონიკის სპეციალისტები, სხვადასხვა პროფილის ინჟინრები და ბევრი სხვა. თუ ფიზიოლოგებსა და მედიკებს მეხსიერების მექანიზმები აინტერესებთ იმისათვის, რომ მართონ ისინი, უმკურნალონ თავის ტკინის სხვადასხვა ფუნქციურ მოშლას, სხვა დარგების წარმომადგენლებს უმაღლესი ნერვული მოქმედების უზუსტეს პროცესთა გაშიფვრა იმის საშუალებას აძლევს, რომ შექმნან და სრულყონ დამახსოვრებელი მოწყობილობანი, გამოსათვლელი ტექნიკა, აშენონ რადიოელექტრონული მანქანების, მართული ხელსაწყოების საიმედო და ეკონომიური მოდელები.

მაშ რა არის მეხსიერება, რომელზეც დამოკიდებულია ადამიანისა და ცხოველის უნარი ორიენტაცია მოახდინონ გარემოში, შეეგუონ მას, შეიცნონ ბუნება და დაიმორჩილონ იგი.

ამ დღეებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ღია სხდომამ მოისმინა აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის მოხსენება მეხსიერების პრობლემებზე გაგრაში ამას წინათ მოწყობილი საუბრების შედეგების შესახებ. მეცნიერმა ილაპარაკა ქართველ მკვლევართა მიღწევებზე მეხსიერების ნერვული მექანიზმების, მისი სტრუქტურის, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური საფუძვლების შესწავლის დარგში. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საკოორდინაციო საბჭომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტს დაავალა ყოველმხრივ შეესწავლა ცხოველთა მეხსიერება. აქ მეცნიერები პირველად ჩვენს კვეყანაში უკვე ბუთ წელიწადზე მეტია ფართოდ სწავლობენ თანამედროვე ბიოლოგიის ამ ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას.

ქართველ ნეიროფიზიოლოგთა ნაშრომებით ზუსტად განისაზღვრა როლი, რომელიც დიდი ნახევარსფეროების ქერქის გარკვეულ ნაწილებს ეკუთვნის დამახსოვრების პროცესში. გამოირკვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტკინის ძველ წარმონაქმნებს — ეგრეთწოდებულ ლიმბურ სტრუქტურას, რომლის აღგზნების დროს წარმოიქმნება ემოციები. მეცნიერებმა დაადგინეს ამგრეთვე, თუ რა ნერვული ელემენტები და მათი კავშირები წარმოქმნიან ფუნქციურ სისტემებს, რომლებიც აღიქვამენ გარე სამყაროს და შემდგომ წარმოსახავენ მას ხატებად.

ივანე ბერიტაშვილმა და მისმა მოწაფეებმა მოაწყვეს ექსპერიმენტები ხერხემლიან ცხოველებზე, რომლებიც ევოლიციური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან და გამოიტანეს დასკვნა, რომ მათ ხატოვანი მეხსიერება აქვთ. ეს, ნიშნავს, რომ საფუძვლად უდევს აღქმული ობიექტის რეპროდუქცია. ასეთი მეხსიერება შეიძლება იყოს ხანგრძლივი, თუ ცხოველს აღქმული ობიექტი მოაგონდება რამდენიმე დღის ან წლის შემდეგაც კი, და ხანმოკლე, თუ დამახსოვრება გრძელდება რამდენიმე წუთს ან საათს. შემდეგ კი ქრება.

ნეიროფიზიოლოგმა მოახდინა მეხსიერების სხვადასხვა კლასიფიკაცია. ისინი, როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, დამახასიათებელია ყველა ხერხემლიანი ცხოველისათვის, თევზიდან მოყოლებული მაიმუნამდე.

მომხსენებელმა უჩვენა დიაფილმები, რომლებიც ასახავენ უმაღლესი ცხოველების ფსიქონერვული ქცევის სხვადასხვა ეტაპს.

ჩვენი ქვეყნისა და პოლონეთის თვალსაჩინო სპეციალისტთა საერთო აზრით, რომლებიც მონაწილეობდნენ მეხსიერების პრობლემებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმში, ცხოველთა ქცევის ფსიქონერვული საფუძვლების შესწავლის დარგში ბერიტაშვილის კვლევის მიმართულება უაღრესად დიდმნიშვნელოვანია მეხსიერების ძირითად კანონზომიერებათა სწორი გაგებისათვის. აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსმა ი. ვეკუამ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ვ. კუპრაძემ, ხ. დურმიშიძემ. სხდომის თავმჯდომარემ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და აკადემიის პრეზიდიუმის სახელით მაღალი შეფასება მისცა მეხსიერების პრობლემებზე ქართველი ფიზიოლოგების მიერ წარმოებული კვლევის შედეგებს.

ДИА БАРАТИ АРЧИЛ ИОСЕБИС-ДЗЕ ТУРМАНИШВИЛЗЕ

ისიც თბილისში მოგელიან

რომ სტუდენტობის საყვარელ წლებს მოვიგონებ, უნებურად გამახსენდები შენ, არჩილ!

საიდან სადაო, გაიოცებ და ნაცნობ მეგობართა სახელებში დაუწყებ ჩემ გვარს ძიებას. ამაოდ გაირჯები. მე შენ არასოდეს მინახავხარ. აბა საიდან განახავდი. როცა ომი დაიწყო, მე სულ რაღაც სამიოდე წლის ბიჭი ვიყავი. ხელრიანად არც კი ვიცოდი, რას ნიშნავდა ომი. ომი ჩემს ცნობიერებაში სამკუთხა ბარათებით და დათალხული ქალებით შემოვიდა უფრო გვიან.

არც შენ მიცნობ მე. აბა სად რაჭა და სად ქარელი. ომი რომ დაიწყო, იმ დღესვე გამოიხურე სამსახურის კარები, გამოხვედი პატარა, ერთსართულიანი შენობიდან, სადაც ქარელის საგზაო სამმართველო იყო მოთავსებული და კომისარიატს მიაშურე.

საღამოთი ახლობლებმა გაგაცილეს სადგურზე: მეუღლემ, ვაჟმა და უკვე წამოზრდილმა ქალიშვილმა. სულ პატარა — სიმზარი კი აკვანში იყო ჩაკრული და ამ ქვეყნის არაფერი გაეგებოდა.

წახვედი და გამარჯვების რწმენა დატოვე შენს პატარა ოჯახში.

დღე დღეს მისდევდა, იზრდებოდნენ შენი შვილებიც და იზრდებოდა შენგან დატოვებული იმედიც. მაგრამ... ორმოცდაორის გაზაფხულზე შეწყდა შენი ჯარისკაცული ბარათები.

შენმა მეუღლემ შრომა გაათკეცა. დაიზარდნენ პატარებიც. უფროსმა გოგონამ საკუთარი კერა გაიჩინა, ვაჟი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა.

ცეროდენა სიმზარმა კი წარჩინებით დაამთავრა თბილისში საშუალო სკოლა და პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს მიაშურა.

ერთხელ გულამოვარდნილი მოვიდა გოგონა ინსტიტუტში. სადღაც წაეკითხა: არჩილ იოსების-ძე თურმანიშვილი ქერჩთან უთანასწორო ბრძოლაში ტყვედ ჩაიგდეს ფაშისტებმა. ეს იყო ოთხიოდე წლის წინ. მაშინ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავზე, მრავალ ივონებდნენ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს.

ხომ ძნელი დასაჯერებელია ახლობელი ადამიანის დაკარგვა. არ სჯეროდა არც სიმზარს შენი დაღუპვა. რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატს მიაკითხა შენი ამბის დასაზუსტებლად. არჩილ თურმანიშვილი უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიაში ირიცხებაო, — უპასუხეს.

მას შემდეგ მოსვენება დაეკარგა ქალიშვილს. შემეძლო, შენ ჟურნალისტი ხარ, თამაზ, იქნებ საიდანმე მივაწვდინოთ ხმა უცხოეთში მყოფ ქართველებს, იქნებ მათ იცოდნენ რამე მამას შესახებო.

თხოვნას როგორ არ შევუსრულებდი ოქროსთმიან გოგონას, ფრიადოსან სტუდენტს, მამის მაძებარს.

ქერჩის ტრაგედიას რომ ბევრი გადაურჩა მეც ვიცი, არჩილ! ვინ იცის იქნებ შენც გაუსხლტი მტრის ტყვიას. იქნებ მართლაც ხარ სადმე და ყურში ჩაგესმის სიმზარის ბგერები, აკვანში მყოფი რომ ლუღლუღებდა. აკი ამ ბგერებით და ფართოდ გახელილი თვალებით დაგემშვიდობა უსიტყვოდ მაშინ, ცხრაასორმოცდაერთს. გაეცი მას ხმა. მისი მისამართია: თბილისი, ვაჩნაძის ქუჩა № 3, სიმზარ არჩილის ასული თურმანიშვილი.

თამაზ კერვალიშვილი.

თბილისი — ომი.



ნანა ალექსანდრია მიწვეულია ბელგრადში

სპორტი

60-იანი წლების დამდეგს იუგოსლავიელმა მოჭადრაკე ქალებმა სერიოზული პრეტენზიები განაცხადეს მსოფლიო პირველობაზე. გამოჩნდა ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მთელი პლეადა. რომელსაც უმაღლეს ღონეზე წვრთნა სჭირდებოდა. იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციამ 1965 წელს სწორედ მათთვის ჩაუყარა საფუძველი ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირს.

I ტურნირში, რომელშიც საბჭოთა მოჭადრაკეები არ მონაწილეობდნენ, გაიმარჯვა უნგრელმა ოსტატმა ე. ბილეკნემ. 1966 წლის ტურნირში პირველობა ხვდათ ნ. გაფრინდაშვილსა და რუმინელ ოსტატს ა. ნიკოლაუს, რომლებმაც I-II ადგილები გაიყვეს. III ტურნირში (1967 წ.) ფინიშთან პირველი მივიდა საბჭოთა ოსტატი ტ. ზატულოვსკაია.

II ადგილი დაიკავა ნ. გაფრინდაშვილმა. 1968 წლის ტურნირი ნ. გაფრინდაშვილის დიდი ტრიუმფით აღინიშნა. მან დაუმარცხებლად I ადგილი დაიკავა. II ადგილზე გავიდა ა. კუზნეცოვა (მოსკოვი).

და აი, ბელგრადის V ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობას სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი ნ. **ალექსანდრია.** ეს იქნება ჩვენი ჩემპიონის მეორე გამოსვლა უცხოეთის საერთაშორისო ტურნირში.

— ბელგრადში 5 მარტს გავემგზავრები, — გვითხრა ნ. ალექსანდრიამ, — ჩემთან ერთად ითამაშებს ზატულოვსკაია. წლევანდელი შეჯიბრება იუგოსლავიელებმა საიუბილეოდ გამოაცხადეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ტურნირი უფრო მრავალრიცხოვანი და წარმომადგენლობითი იქნება. მოსალოდნელია, რომ ბრძოლაში თექვსმეტის მაგიერ ოცი მოჭადრაკე ჩაებმება. მიწვეული არიან იმ ქვეყნების მოჭადრაკეებიც, რომელთაც ამ ტრადიციულ ტურნირში ჯერ არ მიუღიათ მონაწილეობა. საინტერესო იქნება, მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა ჭადრაკის ლიდერების — ლ. ლეინის და გ. გრეისერის მონაწილეობა.

მასპინძლები ალბათ გამოიყვანენ თავიანთ საუკეთესო ოსტატებს: მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩს, მ. ლილიაკს, კ. იოვანოვიჩს, ვ. ნედელკოვიჩს, ტ. შტადლერს და სხვებს. ამ მოჭადრაკეებს სუბოტიცას პრეტენდენტთა ტურნირიდან ვიცნობ.

ბელგრადში თამაში ძალიან მაინტერესებს. აქ იქნებიან თანამედროვე ქალთა ჭადრაკის საუკეთესო წარმომადგენლები. ეს დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს, როგორც სსრ კავშირის ჩემპიონს.

შესანიშნავად შრომობენ სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის მეცხოველეები. არტელში 12 ათასზე მეტ სულ ცხვარს დაითვლიან. ყოველ 100 ნერბისაგან მიღებულია 92 ბატკანი.

შესანიშნავი მაჩვენებლები აქვს მწყემსს ბიძინა ციხელაშვილს. მასზე გაპიროვნებულია 1.500 ნერბი. მზრუნველმა მოვლამ მას საშუალება მისცა ყოველი 100 ნერბისაგან 100 ბატკანი მიეღო. მოწინავე მწყემსმა მატყლის დამზადებაშიც მიაღწია წარმატებას. თითოეული ცხვრისაგან მან მიიღო 3 კილოგრამი და 100 გრამი მატყლი.

სურათზე: ტიბაანელი მოწინავე მწყემსი ბიძინა ციხელაშვილი.

ჰარმონიული ცხოვრება საქართველოს

მოუსმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: 227 მეტრის საშუალო ტალღაზე ანუ 1322 კილოჰერცის სიხშირეზე, 30,83 მეტრის მოკლე ტალღაზე ანუ 9730 კილოჰერცის სიხშირეზე.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით 50,59 მეტრის მოკლე ტალღაზე ანუ 5930 კილოჰერცის სიხშირეზე.

სარედაქციო კოლეგია

კვირა ვისაქართველო

თბილისი, ჭ. ათონელის, ქ. № 25.